

გურამ თაქთაქიშვილი

# ვარიკოზული დაწავალების ეფურნალობა

თბილისი  
2008

ნიგნი განკუთვნილია იმათთვის, ვინც ჯანმრთელობის ფასი იცის.

**რედაქტორი:** ლუპია ყალიჩავა  
ფიზიოლოგი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

**კორექტორი:** დიმიტრი მაისურაძე

## ბროშურის დანიშნულება

ბროშურა არ წარმოადგენს სამკურნალო დანიშნულებით გამოსადეგ მასალას, იგი უფრო პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი შინაარსისაა, რომელშიც მოცემულია ავტორის მიერ პრაქტიკულად გავლილი გზით დაგროვილ ცოდნას დამატებული პროფესიონალი მეცნიერების მიერ ჩატყალიბებული თეორიები ქვედა კიდურების ვარიკოზული დაავადების შესახებ.

ავტორის სურვილია დაგეხმაროთ, რათანარმოდგენა გქონდეთ აღნიშნული დაავადების სიმპტომების შესახებ იმ მიზნით, რომ თქვენ საჭირო შემთხვევაში გადაუდებლად მიმართოთ მკურნალს და თავიდან აიცილოთ დაავადების შემდგომი გართულებები.

რედაქტორისაგან

## შესავალი

მეცნიერების ვარაუდით უხსოვარ დროში, როდესაც პირველყოფილმა ადამიანმა ოთხ ფეხზე სიარულიდან ორზე გადაინაცვლა, სწორედ იქიდან მიეცა დასაბამი ადამიანების ქვედა კიდურების დაავადებებს, რამეთუ სხეულის ის წონა, რომელიც ბუნებრივად ოთხ ფეხზე იყო გათვლილი, ორს დააწვა.

ცნობილია, რომ ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე საშუალოდ დაახლოებით 400 მილიონამდე ნაბიჯს დგამს, ე.ი. გადის მანძილს, რომელიც თითქმის ეკვატორის სამმაგი სიგრძის ტოლია; ამასთან, თითოეული ნაბიჯის დროს, ის სწევს საკუთარ წონას, რაც ჯამურად დაახლოებით 24 მლნ. ტონის ტოლია.

აი, ასეთი დატვირთვის გამო ძალზე მნიშვნელოვანია ფეხების მოვლის პრობლემა და განსაკუთრებით მათთვის, ვინც თავიანთი სპეციალობიდან გამომდინარე (ქირურგები, პარიკმახერები, დაზგებთან მომუშავე ხელოსნები, გამყიდველები და ა.შ.) იძულებულნი არიან დიდი დროის განმავლობაში ფეხზე იდგნენ და ისე საქმიანობდნენ. ერთხელ, მეღიცინაში ასე თუ ისე გარკვეულ ქალბატონთან საუბარი მქონდა ვარიკოზული ვენების გაგანიერების თაობაზე და იცით, მან რა მიპასუხა?

„თქვენ, კაცებს რა გიჭირთ, შარვალში გაგანიერებული ვენები არ ჩანსო, აი, ქალებია ცოდვაო“. იმ პერიოდში ქალები იშვიათად იცვამდნენ შარვალს. აი, სწორედ ასეთმა საუბარმა შეიძლება ცუდი სამსახური გაუწიოს ვარიკოზული ვენებით დაავადებულ პიროვნებას და მან დაკარგოს ის ძვირფასი დრო, რომელიც დაავადების მიმდინარეობის შეჩერებისა და მკურნალობისთვის არის საჭირო.

რა დასამალია, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ პიროვნებას მიაჩნია, რომ ფეხის კიდურების დანიშნულება მარტო მეტის მექანიკურ საქმიანობაში გამოიხატა და მხოლოდ მაშინ „გამოფხიზლდება“, როცა ვარიკოზული დაავადება სრულყოფილად იჩენს თავს.

საბჭოთა ხელისუფლების დროის, ცნობილი ქართველი მწერალი რევაზ ინანიშვილი თბილისის მე-4 სამართველოს სტაციონარში იმყოფებოდა სამკურნალოდ და მივედი სანახავად.

ბატონი რევაზი ძალზე თავმდაბალი და უშუალო პიროვნება გახლდათ და ამიტომაც შევპედე და ვუთხარი: ბატონო რევაზ, თქვენ ცნობილი მწერალი ბრძანდებით და ამიტომ თქვენთვის პრობლემა არ უნდა იყოს საგზურის აღება და სამკურნალოდ წასვლას ესეთ განთქმულ კურორტებზე, როგორიცაა: ესენტუკი, კისლოვოდსკი ან ტრუსკავეცი. ის ჩაფიქრდა და იცით რა მიპასუხა: „ბატონო გურამ, განა ქართველი კაცი როდისმე მოიცლის, რომ თავის თავს მიხედოსო“.

ჰოდა მეც აქა ვარ, მინდა, რომ ადამიანი, რომელსაც ქვედა კიდურების ვენები აწუხებს, დროზე „გამოფხიზლდეს“ და მიაკითხოს „ანგიოლოგს“. ახლა იქნება ისიც

მკითხოთ: ეს ანგიოლოგია რაღა არისო, ბატონი ბრძანდებით:

ანგიოლოგია ბერძნული სიტყვაა, ანგიონ – ნიშნავს სისხლძარღვს, ხოლო ლოგოს – მოძღვრებას, ე.ი. ანგიოლოგს ზუსტად სისხლძარღვებთან და კერძოდ ვენების პრობლემებთან ჰქონია შეხების წერტილი.

ვენების ვარიკოზულ დაავადებაში ასევე კარგად ერკვევიან ქირურგებიც, რომლებიც ნებისმიერ პოლიკლინიკაში მოღვაწეობენ.

ასე რომ არჩევანი თქვენზეა, მთავარია დროულად, ყოველგვარი გადადების გარეშე მივმართოთ სპეციალისტს, რამეთუ დროული მკურნალობა დაავადების გართულების თავიდან აცილების გარანტიაა.

ავტორი.

## ნაცილი |

### ვარიკოზული დაავადების საცყისი სიმატომები

სიტყვა „ვარიკოზი“ ლათინურია და გაგანიერებას ნიშნავს, მისი საწყისი სიმპტომები ასე იწყებს წარმოჩენას: როდესაც ადამიანები უყურადღებოდ სტოვებენ ქვედა კიდურების მდგომარეობას, გადის დრო და (განსაკუთრებით ქალები) ამჩნევენ ფეხებზე ვენების ოდნავ გაგანიერებას და ე.ნ. „ვარსკვლავების“ წარმოშობას, რასაც თავდაპირველად ისინი აღიქვამენ, როგორც კოსმეტიკურ დეფექტს, მაგრამ თუ ამას დროულად არ მიეცა სათანადო ყურადღება, მაშინ რამდენიმე ხნის შემდეგ ეს „კოსმეტიკური დეფექტი“ შეიძლება გადაიზარდოს სერიოზულ დაავადებად, რაც იწვევს ტკივილებს და ფეხების შეშუპებას, ვენების ანთებას და მათში უხეში კვანძების წარმოშობას, ფეხის კუნთების კრუნჩხვებს, განსაკუთრებით ლამის საათებში. განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში კი ტროპიკული წყლულების წარმოქმნას, რომლებიც ძნელად ექვემდებარებიან მკურნალობას. ეს კი უკვე კოსმეტიკური პრობლემა აღარ არის, არამედ სერიოზული დაავადებაა. ვარიკოზული დაავადება ქვედა კიდურების ძალზე გავრცელებული სისხლძარღვთა პა-

თოლოგიაა.

ვარიკოზული დაავადება, ესაა ვენური კედლის ან ვენური სარქვლის სისუსტე, რის შედეგადაც ვენის კედელი კარგავს სიმკვრივეს, სისხლი გროვდება ქვედა კიდურებში და ვენები განიერდება. ვარიკოზული დაავადება შეიძლება გადაიზარდოს თრომბოფლებიტში, რომელიც ა. წარმოიშობა იმის შედეგად, რომ სისხლი გუბდება და ჩნდება თრომბები, რომლებითაც ხდება წვრილი ვენების დაცობა.

არის თუ არა გამოსავალი? დიახ! ვარიკოზის დროულად შეჩერება უფრო ადვილია, ვიდრე მისი დაგვიანებული მკურნალობა.

### არის თუ გამოსავალი?

ნითელი ისრებით ნახატზე მოცემულია სისხლის დინების მიმართულება ფეხების ღრმა (.) და ზედაპირულ (. ) ვენებში.

1. სისხლი ვენებში მიედინება ქვევიდან ზევით. ამას მნიშვნელოვნად ეხმარება ფეხის კუნთების შეკუმშვა. სისხლის ზევით მიდინების დროს ვენების სარქველები (.) რგალებულია, ხოლო როცა სისხლი სიმძიმის ძალით მოედინება ქვევით, ვენის სარქველები იკეტება და აკავებს მას. ასე სწარმოებს ნორმალური მდგომარეობის დროს.

2. თუ ზედაპირული ვენები გაფართოებულია, სარქველები ვერ ახერხებენ ჩაკეტვას და სისხლი სიმძიმის ძალით ჩამოედინება ქვევით, ჩერდება და მისი თხევადი ნაწილი გაედინება მიმდებარე ქსოვილებში და წვივი შეშუპდება.

3. როცა ფეხზე გადაცმულია ელასტიური წინდა, თეთრი სამკუთხედები გვიჩვენებენ ამ წინდის დაწოლას

ფეხზე. ასეთნაირად ზედაპირული ვენა ვიწროვდება და სისხლის დინება ნორმალურად მიმდინარეობს.

ვარიკოზული დაავადება ძირითადად მარცხენა ფეხიდან იწყება და შემდგომში მარჯვენაც ავადდება, მაგრამ ზოგჯერ ეს პირიქით ხდება და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ფეხია ძირითადი საყრდენი. რას ნიშნავს ეს?

თუ პიროვნებას ახალგაზრდობაში რაიმე კავშირი ჰქონია სპორტთან და უფრო გამოკვეთიდან სიმაღლეზე ან სიგრძეზე ხტომაში მიუღია მონაწილეობა, მას აუცილებლად ეცოდინება თუ ხტომის დროს რომელი ფეხით აკეთებდა მიწიდან არეკნას და სწორედ ეს ფეხია ძირითადი საყრდენი და ცხოვრებაშიც მასზე მოდის კიდურებზე დატვირთვის მეტი ნაწილი. აქედან გამომდინარე, არც თუ სასიამოვნო შედეგებით.

ამიტომ თავდაპირველად გარკვეული ყურადღებაც სწორედ საყრდენ ფეხს უნდა მიექცეს, რომ დაავადების საწყისი პერიოდი დროულად დავაფიქსიროთ.

### პროფილაქტიკური ღონისძიებანი

პროფილაქტიკურ ღონისძიებებში შედის: დღის რეიმის დაცვა, ფეხსაცმლის შერჩევა, მასაუი, ნყლის პროცედურები, ვარჯიშები, დიეტის დაცვა, ელასტიური წინდების და ბანდების გამოყენება. გავარჩიოთ ისინი ცალკალკე.

### დღის რეუიმი

სისტემატურმა და ხანგრძლივად ფეხზე დგომამ ან დამჯდარ მდგომარეობაში ყოფნამ შეიძლება გამოიწვიოს სისხლის შეჩერება ფეხის ვენებში.

თუ სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, დიდხანს გვიწევს ჯდომა, დაავადებული ფეხი სასურველია შემოვდგათ სპეციალურ სადგამზე ან სკამზე, ხოლო დღის განმავლობაში ყოველი 1-1,5 საათის შემდეგ სასურველია შევისვენოთ 10 ნუთით მაინც.

ამასთან, აღნიშნული შესვენების დროს საჭიროა 10-15-ჯერ ავინიოთ ფეხის წვერებზე. ასეთ წარჯიშების დროს ინტენსიურად იკუმშება ფეხის კუნთები და თავიდან ვიცილებთ სისხლის მოძრაობის შეჩერებას ვენებში.

თუ არის ამის პირობები, ძალზე სასარგებლოა დღის განმავლობაში ყოველ 3-4 საათში ერთხელ წამოვწვეთ 10-15 ნუთით; გავიხადოთ ფეხსაცმელები და ავნიოთ ფეხები 40 სანტიმეტრის სიმაღლეზე.

უნდა მოვერიდოთ ისეთ საქმიანობას, რომლის დროსაც მოგვწევს დიდხანს უმოძრაოდ დგომა, აუცილებელია შევზღუდოთ დიდხანს უმოძრაოდ ყოფნაც, მაგალითად, დივანზე ან სკამზე ჯდომა, ტელევიზორის დიდხანს ყურება და ა.შ. ყველაფერმა ამან შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო სისხლის შეჩერება ვენებში, არამედ სტიმული მიეცეს თრომბის წარმოქმნას.

პირიქით, აქტიური დღის რეჟიმი, სიარული და მოძრაობა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, აჩერებს დაავადების პროგრესირებას, რადგანაც ამ დროს სწარმოებს კანჭის კუნთების შეკუმშვა. ასევე საჭიროა ძალის რეგულირება. ავადმყოფს დღე-ღამეში უნდა ეძინოს არანაკლებ 8 საათისა, ამასთან, ძილი უნდა იყოს მშვიდი და ღრმა. ამისათვის ავადმყოფმა ძილის წინ საჭმელი არ უნდა მიიღოს, ოთახი კარგად გაანიავოს,



## სუფთა ჰერზე ისეირნოს.

სასურველია გაღვიძების შემდეგ ლოგინიდან დროულად ადგომა, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ გაღვიძებისთანავე საჭიროა ლოგინიდან წამოხტომა და აირატომ? ზოგიერთ პიროვნებას ჰორიზონტალურიდან ვერტიკალურ სიბრტყეში ტანის გადატანისას წნევა მკვეთრად ეცვლება და ამან შეიძლება გონიერის დაკარგვა გამოიწვიოს, ამიტომ უმჯობესია გაღვიძებისთანავე, ლოგინში მნილიარემნელ ტემპში ჩავატაროთ ასეთი სახის მსუბუქი გამოსაფხიზლებელი ვარჯიში.

1. თვალების დახამხამება – 35-ჯერ;
  2. თავის მოძრაობა ვერტიკალურ სიბრტყეში 15-ჯერ;
  3. თავის მოძრაობა ჰორიზონტალურ სიბრტყეში მარცხნიდან მარჯვნივ და პირიქით – 35-ჯერ;
  4. ფეხების მოღუნვა-გაშლა: ვიწყებთ ერთი ფეხით და მერე ვუნაცვლებთ მეორეთი – 15-ჯერ.
  5. „ველოსიპედის“ ვარჯიში. ე.ი. ფეხები აღმართული გვაქვს მაღლა და ვიწყებთ ფეხების წრიულ ტრიალს ვერტიკალურ სიბრტყეში, რაოდენობა ფიზიკური შესაძლებლობის მიხედვით, არ უნდა დავიღალოთ.
  6. ხელის თითების მომუჭვა-გაშლა – 35-ჯერ.
  7. საბნიდან ხელენბის ამონევა, თითების ერთმანეთზე ჩაჭიდება, ხელის გულების შემოტრიალებით ზევით და მოძრაობა ვერტიკალურად მაღლა-დაბლა – 15-ჯერ.
- ვარჯიშის დამთავრებისთანავე ლოგინიდან წყნარად ვდგებით, პირს ვიძანთ და ახლა უკვე ფეხზე მდგომი ვასრულებთ შემდეგ ვარჯიშს.
1. ფეხები მხრების სიგანეზე – განმკლავი.
  - ა) თითების მომუჭვა-გაშლა – 35-ჯერ;

ბ) თითების მომუქვა და განმკლავიდან შიგნით ტრიალი – 15-ჯერ.

2. თავის წრიული ტრიალი.

- ა) მარცხნივ – 15-ჯერ;
- ბ) მარჯვნივ – 15-ჯერ.

3. მოკრივის დგომი, ხელის თითები მუჭშია, ნელი დარტყმები შენაცვლებით, მარცხენათი – მარჯვენათი 15-ჯერ;

4. ნელის მოძრაობა.

- ა) მარცხნიდან-მარჯვნივ – 5-ჯერ;
- ბ) ნინ-უკან – 5-ჯერ;

გ) წრიული მოძრაობა – მარცხენა მიმართულებით. შემდეგ მარჯვენა მიმართულებით – 5-ჯერ.

5. ჩაბუქვნა-ადგომა – 3-ჯერ.

6. გამართული ფეხების აქნევა-შენაცვლებით – 10-ჯერ.

7. დოინჯი – თვალების ტრიალი;

- ა) მარცხნიდან-მარჯვნივ და პირიქით – 35-ჯერ;
- ბ) მაღლა-დაბლა და პირიქით – 35-ჯერ;

გ) წრიული ტრიალი: 3-ჯერ მარცხნივ, 3-ჯერ მარჯვნივ, გავიმეოროთ 5-ჯერ.

ვარჯიშის დასრულების შემდეგ აუცილებელია მოთელვა, რათა სხეული დაძაბულ მდგომარეობაში არ დარჩეს, ამისათვის:

1. ხელების ანევა ზევით და ნარნარად, მოშვებულად ქვევით ჩამოშვება – 10-ჯერ;

2. ფეხების ქნევითი მოძრაობა, მოშვებულ მდგომარეობაში – 10-ჯერ.

შენიშვნა: ვარჯიშების შესრულების რაოდენობა პირო-

ბითია, ის თქვენი ფიზიკური მონაცემების მიხედვით უნდა შეარჩიოთ. თავდაპირველად რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობით დაიწყეთ, რადგან ვარჯიშების შესრულების შემდეგ თავი უნდა მხნედ იგრძნოთ და არავითარი დაღლა არ უნდა გეტყობოდეთ.

### ფეხსაცმელი

ძალზე მნიშვნელოვანია ფეხსაცმლის სწორად შერჩევა – ის უნდა იყოს ფეხზე მორგებული და კომფორტული, სასურველია თუ ის ნატურალური მასალისგან (ტყავის) იქნება დამზადებული, რათა ფეხის კანმა ისუნთქოს და არ გაოფლიანდეს, ამასთან არ წარმოიშვას კოურები.

არ არის რეკომენდირებული მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ტარება, ვინაიდან ამ შემთხვევაში სხეულის მთელი სიმძიმე ფეხის წინა ნაწილს აწვება; ფეხები მაღე გვეღლება; ამასთან იგრძნობა ტკივილი ფეხის თითებში და კუნთებში.

ყველაზე მოსახერხებელია ისეთი ფეხსაცმელი, რომლის ქუსლის სიმაღლე 3 სანტიმეტრს არ აღემატება. ასეთი ფეხსაცმლის გამოყენების დროს სხეულის წონა თანაბრად ნაწილდება ფეხის მთელ ტერფზე.

ასევე არასასურველია მჭიდრო ვინწროცხვირიანი ფეხსაცმელი მათთვის, ვისაც აწუხებს ვენების ვარიკოზული დაავადება, რადგანაც ის იწვევს ფეხის თითების დეფორმაციას, აჩენს მტკივნეულ მშრალ კოურებს.

მეორეს მხრივ ძალზე სასარგებლოა დროდადრო ფეხშიშველა სიარული, რადგანაც ფეხის ტერფზე არის ძალზე ბევრი აქტიური ნერტილი და ფეხშიშველა სიარული მოქმედებს მათზე, როგორც ენერგეტიკული მასაუი

### მასაჟი

დაავადების საწყისი სტადიის დროს შეიძლება ფეხების მასაჟი შევასრულოთ, მაგრამ იგივეს გაკეთება დაუშვებელია მწვავე ფორმის, როგორც პერიფერიული, ასევე ღრმა ტრომბოფლებიტის დროს.

მასაჟის შესრულების დროს ხელი უნდა მიემართებოდეს ტერფის თითებიდან წვივისა და ბარძაყისაკენ. ეს მოძრაობა უნდა იყოს ხელის გულით შესრულებული ფეხის მთელ ზედაპირზე ფრთხილად და ნაზად. დაუშვებელია დაზელვა და ხელის ტყაპუნი.

მასაჟი კეთდება ფეხის დადებით მკვრივ ბალიშზე ან დახვეულ საბანზე. ისე რომ ტერფი და კანჭი თავისუფალი იყოს მასაჟის ჩატარებისთვის.

მასაჟის ჩატარებას ვიწყებთ შემდეგნაირად: მარჯვენა ხელის თითებით ვკიდებთ მარცხენა ფეხის ტერფის წინა ნაწილს და პირიქით, მარცხენა ხელით მარჯვენა ფეხისას და მსუბუქად მათ ვაწვებით და ხელებს მოძრავებთ ტერფის თითებიდან ქუსლისკენ. შემდეგ ხელის თითებს ვკიდებთ ტერფის ძირს და ხელის გულს ვამოძრავებთ ქუსლისკენ და მყესებისკენ კანჭის უკანა ნაწილისკენ, ტერფის ზევით კოჭის შიგნით.

ამის შემდეგ, ორივე ხელი უნდა მოვხვიოთ კანჭს და კოჭ-წვივის სახსრიდან ვიმოძრავებთ ბარძაზის ზედა მესამედამდე.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვარჯიში და მასაჟი მხოლოდ დამატებითი საშუალებაა ელასტიური ბანდით მკურნალობისა და არ ცვლიან მის დანიშნულებას.

## ნყლის პროცედურები

ძალზე სასარგებლოა ნყლის პროცედურები, რეკომენდირებულია ცურვა, მაგრამ მხოლოდ თბილ ნყალში, კუნთების შეკუმშვა, თვითონ ნყლის დაწოლა აუმჯობესებს ვენური სისხლის მოძრაობას და ფეხების შესიებას აღარ აქვს ადგილი.

თუ ავადმყოფს ფეხებზე არა აქვს ტროპიკული ნყლული ან ეგზემა, შეიძლება გამოყენებული იქნეს ფეხის აბაზანები, რომელშიც განზავებული იქნება 5-10 პროცენტამდე სუფრის მარილი, რაც გამოდევნის ფეხის კანის უჯრედებიდან ნივთიერებათა ცვლის პროდუქტებს.

აღნიშნული აბაზანის ტემპერატურა არ უნდა იყოს 30-35 გრადუსზე მეტი.

აბაზანის მიღების შემდეგ ფეხებზე უნდა გადავივლოთ თბილი ნყალი, კარგად შევიმშრალოთ და შევიზილოთ მაღამო, რომელსაც მკურნალი სპეციალისტი შეგვირჩევს.

## ვარჯიშები

ვენების ვარიკოზულ დაავადებულთათვის მეტად სასარგებლოა სპეციალური ვარჯიშების შესრულება, ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ამ დროს ფეხიდან ელასტიური წინდების მოხსნა არ შეიძლება.

კარგია ფეხის ტერფების წრიულად ტრიალი, ფეხის თითებზე აწევა, ფეხის მუხლში მოღუვნვა-გაშლა და ა.შ.

ვარჯიშების შესრულება სასურველია შევასრულოთ ფეხშიშველამ, იატაკზე დაფენილ ხალიჩაზე.

ასევე შეიძლება განტელებით ვარჯიში, მაგრამ არაუმეტეს 3-კილოგრამიანი წონისა.

ზაფხულობით სასარგებლოა ველოსიპედით სეირნობა, რომლის დროსაც ფეხის კუნთები რითმულად იკუმშება, ხოლო ზამთარში იგივე მოძრაობა „ველოსიპედით“ სრულდება ლოგინზე ზურგით დაწოლილ მდგომარეობაში.



### დიეტის დაცვა


დაუშვებელია ზედმეტი საკვების მიღება. სასურველია ცხიმების და ისეთი პროდუქტების შეზღუდვა, რომლებიც სტიმულს აძლევენ პიროვნების გასუქებას, რამეთუ ზედმეტი ცხიმების დაგროვება ორგანიზმში იწვევს გულსისხლძარღვთა სისტემის ტონუსის შემცირებას, რაც თავისთავად ანელებს სისხლის მოძრაობას ორგანიზმში, ამან კი შეიძლება დასაბამი მისცეს თრომბების წარმოშობას.

სითხის მიღება უნდა შემცირდეს 1,5 ლიტრამდე დღელამეში. რასაკვირველია დაუშვებელია სიგარეტის მონევა და ალკოჰოლური სასმელების მიღება.

### ელასტიური ნიცდები

პერიფერიული ვენების ვარიკოზული გაგანიერების მიზეზი სამუშაო პირობები იქნება – როდესაც დიდხანს გვიწევს ფეხზე დგომა, ორსულობა თუ ვენური კედლების სისუსტე – დაავადების სურათი ერთნაირია. ადამიანები ჩივიან, რომ დღის ბოლოს ფეხების შეშუპება ემართებათ. ავადმყოფურად შეცვლილ ვენებში ადვილად ვითარდება ანთებითი პროცესი, ვენების ზემოდან კანი ისე თხელდება, რომ წარმოიქმნება წყლულები.

ძალზე მნიშვნელოვანა დროულად შემჩნეული იქნეს



ვენების გაგანიერების დაწყება, რომ არ იქნეს დაშვებული სერიოზული ცვლილებები; დაავადების განვითარების თავიდან აცილებაში დაგვეხმარება ელასტიური ნინდების ან ბანდის გამოყენება, ისინი აწვებიან კენებს და იცავენ მას გადიდებისაგან.

აფთიაქებში იყიდება ელასტიური ნინდები სხვადასხვა ზომის: მუხლამდე, ბარძაჩის ქვედა ნაწილამდე. ნინდა იწელება და იკუმშება იმიტომ, რომ მასში დატანებულია რეზინის 0,45 ან 0,5 მილიმეტრი დიამეტრის ძაფები. ელასტიური ნინდა შეირჩევა ზუსტად წესის მიხედვით. ამისათვის დილით, როდესაც შეშუპება ჩამცხალია, გაზომება წვივის გარშემონერილობა ყველაზე ანიერ ნანილში და მიღებულ ციფრს ვაკლებთ 4-ს.

დავუშვათ წვივის შემონერილობა 36 სანტიმეტრია, მას გამოვაკლებთ 4-ს და გავყოფთ შუაზე, ამრიგად 36-4 - 16; ამ ციფრის მსიხედვით აფთიაქში სპეციალური ცხრილის მიხედვით შეირჩევა ნინდის ნომერი.

ღამით ელასტიური ბანდი და ნინდა უნდა მოვიხსნათ. ელასტიური ნინდა ნაკლებად გამოსადევია დიდი წყლულების და ეკზემის დროს. ამ შემთხვევებში უკეთესია ელასტიური ბანდის გამოყენება.

ვენების ვარიკოზული დაავადების შემთხვევაში უნდა შევიძინოთ წყვილი ელასტიური ნინდა ან ბანდი თითოეული ფეხისთვის, რადგანაც რამდენიმე თვის ხმარების შემდეგ ისინი იწელება და წარგისი ხდება.

მათი გარეცხვა სწარმოებს ოთახის ტემპერატურის წყლით და ბავშვის საპნით. ისინი უნდა დაეფინოს ფიცარზე და ღრუბლის მოძრაობით ზევიდან ქვევით შესრულდეს რეცხვა. ამ პროცედურის შემდგომ ისინი უნდა

გავავლოთ წყალში, გავნუროთ დაგრეხის გარეშე დაისევ  
ფიცარზე გავაშროთ ოთახის ტემპერატურაზე. დაუშვე-  
ბელია დაუთოვება, გამშრალება ბატარეაზე ან სხვა სით-  
ბურ მოწყობილობაზე, რადგანაც ისინი კარგავენ ელას-  
ტიურობას.

## ელასტიური განდის და ციცლების გამოყენება

როგორც ცნობილია, სისხლი ვენებში ცირკულირებს  
წნევის მეშვეობით, რომელიც წარმოიშობა გულის კუნ-  
თის შეკუმშვის საშუალებით. ვენურ სისხლმოქცევას ეხ-  
მარებიან ფეხის კუნთებიც. შეკუმშვისა და მოდუნების  
დროს, მაგალითად, სიარულის დროს, ისინი დევნიან  
ვენურ სისხლს გულისკენ. ასე სწარმოებს ღრმად გან-  
ლაგებულ ფეხის ვენებში.

ზედაპირული ვენები კი, რომლებიც კანის ქვეშ არიან  
გუნდაგებულნი, არარიან გარშემორტყმული კუნთებით.  
მიტომაც მოკლებულნი კუნთოვან კორსეტს, ისინი  
ზოგჯერ განიერდებიან, რის შედეგადაც ზოგიერთ  
პიროვნებას ემართება ვენების ზედმეტად გაგანიერება,  
რასაც მედიცინაში „ვარიკოზი“ ეწოდება.

ეს უფრო ემართებათ გულის კუნთის ფუნქციის შესუს-  
ტებულ ადამიანებს, ასევე იმათ, ვისაც დიდხანს უწევს  
ფეხზე დგომა, ან სიმძიმეების აწევა. არც თუ იშვიათად  
ვარიკოზული გაგანიერება ემართებათ ქალებს ორსულო-  
ბის პერიოდში.

ვენების ვარიკოზული გაგანიერება ხშირად არ აწუხ-  
ებს ადამიანს, მაგრამ უყურადღებოდ მიტოვებულ შემთხ-  
ვევებში სისხლის თხელი ნაწილი გაედინება I სისხ-  
ლძარღვიდან კანქვეშა უჯრედებში, და მაშინ წარმოიშვე-

001, 002, 003, 004

005

ბა ტერფის და კანჭის შეშუპება. კანჭის ქვედა მესამედში ნარმოიშვება მუქი-ნაბლისფერი პიგმენტები, ეკზემული გამონაყრები, ნყლულები. ხანდახან ავადმყოფს აწუხებს ქავილი.

აღნიშნული ელასტიური ნაწარმის გამოყენება რეკომენდირებულია, როდესაც არ არის ძლიერ გამოხატული ვენების გაგანიერება.

სასურველია ის გამოიყენონ ქალებმა ორსულობის პერიოდში და ხანდაზმულებმა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი იძულებული არიან თავისი ჯანმრთელობის გამო დიდხანს იწვნენ ლოგინში. მაგალითად: გრიპით ან ფილტვების დაავადების ან ოპერაციის შემდგომ. ამ პერიოდში ელასტიური ნაწარმის გამოყენება არა მარტო შეაჩერებს ვენების შემდგომ გაგანიერებას, არამედ ავარიდებს ტრომბების ნარმოქმნას.

ახლა განვიხილოთ თუ როგორ დავიხვიოთ სწორად ელასტიური ბანდები ან ჩავიცვათ ელასტიური ნინდა.

~~სურათი უურნალიდან... გვ. 15~~ *აქ ჩივჩვენს, გურიაში*

ეს კეთდება დილით, მანამდე სანამ ავდგებით ლოგინიდან, ვინაიდან ღამის განმავლობაში შეშუპებული ფეხი ცხრება. ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ რცელი შეშუპების შემცირებას ეხმარება თუ ღამის განმავლობაში საწლის ბოლოს ფეხების მიმართულებით ავნევთ 20 სანტი-მეტრით მაღლა.

საღამოთი, ძილის ნინ ფეხები უნდა დავიბანოთ და კარგად გავიმშრალოთ. თითებშუა სასურველია ტალკის ნაჟეცეციალური ფხვნილის შეფრქვევა, ოფლის საწინააღმდეგოდ.

სახვევი ბანდები იღება ორი ცალი, რომელთა ბოლოე-

ბი ერთმანეთზე მიკერებულია და ვიწყებთ დახვევას ტერ-  
ფის თითებიდან ისეთნაირად, რომ ბანდის ერთი ხვეული  
მეორეზე გადადიოდეს ერთი სანტიმეტრით მაინც. ტერ-  
ფიზუნდა დაედოს 3-4 ხვეულამდე.

კოჭნვივის სახსარში ბანდი დაედება რვაჯერ. ბანდი  
წვივზე დახვევისას უნდა გადავაპრუნოთ ყოველ  
ხვეულზე, იმისათვის რომ ბანდი არ ჩაიჭედოს კანში და  
თანაბრად დააწვეს ფეხს.

ამასთან ყოველი ხვეული უნდა ფარავდეს წინა  
ხვეულისნახევარს. შემდეგ მუხლის სახსრიდან სპი-  
რალური დიდი ხვეულებით ისევ ჩამოვდივართ ფეხის  
ტერფიზე და ვიწყებთ მეორე ფენა ხვეულის დახვევას  
ზედა მიმართულებით. ეს აუცილებელია, რომ ბანდი არ  
გადაადგილდეს სიარულის დროს. მისი ბოლო უკეთესია  
დამაგრდეს ინგლისური ქინძისთავით. თავდაპირველად  
ეს პროცედურა უნდა შესრულდეს სამედიცინო პერსონ-  
ალის დახმარებით.

თუ ბანდის დადების შემდეგ უსიამოვნო შეგრძნება  
გაგვიჩნდა: ტკივილები, შეშუპება, ე.ი. ფეხი არათანაბრად  
არის გადახვეული ან ძალზე მაგრად არის მოჭერილი ბან-  
დები, ამიტომ ხვეულები უნდა ოდნავ მოვუშვათ. ბარძა-  
ყზე ბანდის დადება არ არის საჭირო, იმიტომ რომ  
სიარულისას ბანდი გადაადგილდება, და მერე მთელ  
ფეხზე მოეშვება.

თუ წვივზე გვაქვს წყლული, მასზე უნდა დავაფინოთ  
სტერილური ბანდი, ხოლო ზევიდან 3-4 სენტიმეტრი სის-  
ქის პოროლონის ღრუბელი, რომელიც დასველებული  
იქნება 2% ბორის მჟავის ხსნარში (ჩაის კოვზი ბორის მჟა-  
ვა ერთ ჭიქა გადადულებულ წყალში), ღრუბელს

მჭიდროდ შემოახვევენ ჩვეულებრივ ბანდს და ამ ნახვე-  
ვის ზევიდან დაეხვევა ელასტიური ბანდი.



## რამდენიმე სიტყვა თრომბოფლებისტის შესახებ

მეცნიერები თვლიან, რომ ვარიკოზულ ვენებში თრომ-  
ბის წარმოქმნას ხელს უწყობს სამი პირობა, ესენია: სისხ-  
ლის შემადგენლობის ცვლილება, სისხლძარღვების შიგ-  
ნითა გარსის დაზიანება და სისხლის მოძრაობის შენელე-  
ბა.

თრომბოფლებიტით უფრო ხშირად ადამიანები ავად-  
დებიან ცხოვრების მეორე ნახევრიდან, ჩვეულებრივ დაა-  
ვადება იწყება გაზაფხულზე და შემოდგომით, როდესაც  
არამდგრადი ტემპერატურული პირობებია და ამაღლე-  
ბულია ჰაერის ტენიანობა, როდესაც ბევრს უჭირს შეე-  
გუოს ამინდის ჭირვეულობას, ხშირად დაზღვილად  
ცივდებიან.

ტემპერატურის ასეთი მერყეობის დროს და ჰაერის  
ტენიანობისას ასეთ ვენებში ადვილად ზიანდებიან შეთ-  
ხელებული კედლები და ეს იწვევს თრომბის წარმოქმნას.

და ეს არ არის ყველაფერი, გადიდებული ვენები  
ანელებენ სისხლის მოძრაობას, ამასთან, როცა ადამიანი  
ახალგაზრდაა, მისი გულის კუნთი აძლიერებს მუშაობას  
და კომპენსირებას ახდენს არასაკმარის სისხლის მიმო-  
ქცევას ფეხებში. ხანდაზმულ ადამიანებში გულის კუნთს  
უკვე აღარ ძალუდს ამის შესრულება.

რა დახმარება უნდა გაეწიოს ასეთ შემთხვევაში ავად-  
მყოფს?

უპირველეს ყოვლისა, მკურნალი ექიმი ადგენს სისხ-

ლის მდგომარეობას პროტრომბინზე და თუ ის მაღალია, უნიშნავს შესაბამის პრეპარატებს, რომლებიც ~~დაბლა~~  
დასწევენ სისხლის შედედების უნარს.

ასევე ტარდება შესაბამისი ღონისძიებები ფეხების შეშუპების მიზეზის დასადგენად და სალიკვიდაციოდ.

თრომბოფლებიტის მკურნალობა რთული საქმეა, ის მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას ავადმყოფის მიმართ, რადგანაც ზოგიერთს სჭირდება ხანგრძლივად მშვიდ მდგომარეობაში ყოფნა, სხვას კი საწყისი დაავადების დროს პირიქით, უნიშნავენ სიარულს, სამკურნალო ვარჯიშს, სითბურ პროცედურებს, ამასთან ავადმყოფი მუდმივად უნდა იყოს მკურნალის მეთვალყურეობის ქვეშ.

მწვავე თრომბოფლებიტის დროს, ავადმყოფი განიცდის ძლიერ ტკივილს წვივის შიგნითა მხარეს მუხლის ქვედა ნაწილში, წვის შეგრძნებას წვივში, ფეხისა და ვენების შესიებას, ხოლო ერთ ადგილას ვენაზე მტკივნეულ შესქელებას.

თრომბოფლებიტი ხშირად აზიანებს არა მარტო ზედაპირულ ვენებს, არამედ ღრმა ვენებსაც. მაშინ ვენებში პროცესი უფრო რთულად მიმდინარეობს. თუ ამავე დროს თრომბში მოხვდა მიკროორგანიზმები, მაშინ ვითარდება ჩირქოვანი თრომბოფლებიტი.

ღრმა ვენების უკმარისობის დროს ავადმყოფს ანუხებს ფეხების ტკივილი, სიმხურვალის შეგრძნება, შეშუპება, კიდურები ორჯერ დიდდება და კანი ფერს იცვლის - ლურჯდება.

უნდა ვიცოდეთ, რომ ერთხელ წარმოშობილი თრომბოფლებიტი, შეიძლება ისევ განმეორდეს იმავე ვენაში ან

სხვაგან. უნდა ვერიდოთ გაციებას, ფეხსაცმელი უნდა იყოს მშრალი და არ გვიჭერდეს.

თუ თრომბოფლებიტი ხშირად მეორდება, მაშინ საჭიროა პერიფერიულ ვენების ოპერაცია.

## დასკვნა

განხილული მასალიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ფეხების მოვლის მთელი რიგი ლონისძიებების კომპლექსის რეგულარულად შესრულებით ფეხებთან დაკავშირებით ჩვენ პრობლემები არ გვექნება, ამაში შედის არა მარტო ფეხის ტერფების მოვლა, არამედ კოჭების, კანჭების და მუხლებისაც.

ის, ვინც უფრთხილდება დაუვლის ფეხებს, შეინარჩუნებს მას ხანგრძლივად ჯანმრთელ და ლამაზ მდგომარეობაში.

ვენების ვარიკოზული გაგანიერების დროს აუცილებელია პერიოდულად სისხლის წანალიზის გაკეთება პროტომბინზე და თუ ის მაღალია, ექიმის მიერ დანიშნული წამლების დროულად მიღებაა საჭირო. უნდა ვიცოდეთ, რომ ამ დაავადების დროს იდეალური მაჩვენებელი პროტომბინისა არ უნდა იყოს 75-ზე მეტი.

ცნობილია, რომ ქვედა კიდურებში მოძრავის სხლის 80% ლრმა ვენებით მიედინება, დანარჩენი 20% კი პერიფერიულ ვენები.

ამ დაავადების დროს ყველა წვრილმანი უნდა იქნეს გათვალისწინებული, ასე, მაგალითად, ტანსაცმელი უნდა იყოს მსუბუქი, რბილი და ჰერგამტარი.

## ~~პიმიური და ბუნებრივი სამკურნალო და პროფესიული აქტივურ საშუალებათა ჩამონათვალი~~

ვენების ვარიკოზული ~~I~~ და ვადების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის მრავალი წამალი არსებობს და მისი შერჩევა ნაომოებს ჭოტეულ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად გულისა და გულის სპეციალისტის მიერ.

ამ, ზოგიერთი მათგანის ჩამონათვალი:

1. „სოლკოსერილი“ – გამოდის უელეს, მაღამოს და ამპულების სახით – საინექციოდ. მისი ძირითადი შემადგენლობაა მანოვარი ხბორების სისხლი (გამომშვები შვეიცარია).

2. „დეტრალექსი“ – გამოდის აბების სახით, მის რეკლამას გვთავაზობს ფრანგული ფარმაცევტული კომპანია „სერვისი“.

3. „კურიოზინის“ წვეთები. გარეგანი გამოყენებისათვის – ძალზე ეფექტურია. (გამომშვები უნგრეთი).

4. „ლიოფონ-1000“ – გარეგანი ხმარებისათვის (გამომშვები იტალია,? გერმანია და ა.შ.).

ყველაფერი კარგი და პატიოსანი, მაგრამ ზოგიერთი მკითხველი შეიძლება შემომედავოს: „შე კაი კაცო, გაფრთხილება და პროფილაქტიკა კარგი და კეთესი, მაგრამ მე რომ უდროობისათვის გაუფრთხილებლობის გამოვარიკოზი უკვე ჩამომიყალიბდა, მაშინ რა ვქნა? რა წყალში ჩავვარდე? მირჩიე რამეო“.

უპირველეს ყოვლისა, ანგიოლოგს უნდა ეჩვენოთ, რომელიც დიაგნოზის დასმის შედეგად დაჭრებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით დაგინიშნავთ შესაბამის მკურნალობას, რომელიც სტაბილურად, ყოველგვარი გამოტოვების გარეშე უნდა ჩაიტაროთ.

ამასთან უნდა იცოდეთ, რომ ერთ ან ორ კვირაში სა-

სურველი შედეგი ყოველთვის არ მიიღწევა. საჭიროა ნებ-ისყოფის სიმტკიცე, მკურნალობას გარკვეული პერიოდი და დაეთმოს დასრულად ჩატარდეს.

რაც შეეხება წამლებს, დღეისათვის მათი არეალი და ეფექტიანობა ძალიან ამაღლდა და თქვენი მკურნალი სპეციალისტი იმას შეგირჩევთ, რაც უფრო მიესადაგება თქვენი დაავადების დიაგნოზს.

მე ასევე შემოგთავაზებთ ზოგიერთ ბუნებრივ საშუალებას პროტრომბინის დასაწევად, რომლებიც ხალხურ მედიცინაში გამოიყენება.

ესკუზანი – ეს პრეპარატი მზადდება ცხენის წაბლის გამონაწურისაგან, ის ამასთან ზრდის სისხლძარღვთა კაპილარების რეზინისტობას. იყიდება სააფთიაქო ქსელ-ში, როგორც ხსნარის, ასევე დრაუეს სახით.

ლიმონი – კარგია რამდენიმე წვეთის ჩაიში ჩანვეთება; შეიცავს დიდი რაოდენობით **ც**ვიტამინს, ამასთან სხვა პროდუქტებისაგან განსხვავებით, ლიმონის **ც**ვიტამინი მაღალ ტემპერატურაზე არ იშლება.

აღნიშნული დანიშნულებით გამოიყენება აგრეთვე ტყემალი, ალუბალი.

ვაშლის ძმარი – ცალკე აღნიშვნის ღირსია ეს პროდუქტი, რომელიც არა მარტო სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ, არამედ ასევე გამოიყენება სალათების და ზოგიერთი კერძის შესაზავებლადაც.

## ვაშლის ძმის დამზადების ნაირი

დაბალხარისხიანი ვაშლი უნდა გაირეცხოს, მოსცილდეს დამპალი და ჭიანი ნაწილები, შემდეგ უნდა დაიჭყლიტოს ან გაიხეხოს მსხვილ სახეხზე (გამოიყენე-

ბა შუაგულშიც, ასევე შეიძლება კანის გამოყენებაც).

გახეხილი ვაშლის ფაფას მოათავსებენ მისთვის შესაბამის ჭურჭელში, დაუმატებენ თბილ წინასწარ გადადულებულ ნყალს (1 ლიტრი 0,8 კგ. ვაშლის ფაფაზე გაანგარიშებით) ყოველ ლიტრ ნყალზე დაემატება 100 გრამი თაფლი ან შაქარი. ასევე (ძმრის დუღილის დასაჩქარებლად) 10 გრამი პურის საფუარი და 20 გრამი ხმელი შავი პური.

ამ ნაზავით შევსებული ჭურჭელი ინახება თავღიან ადგილას, სადაც ჰაერის ტემპერატურა იქნება 20-30°-ის ფარგლებში.

ძმრის მუავიანობას ხელს უწყობს სითხე, რომელშიც არის მცირე რაოდენობით სპირტი; ასევე მდგრადი ტემპერატურა 20°-ის ზღვრებში და რაც შეიძლება დიდი ზედაპირული კონტაქტი ჰაერთან.

ჭურჭელი უნდა იყოს მინის, თიხის, ან ხის უსახურავო კასრი, ან მომინანქრებული ქვაბი. ჭურჭელი უნდა დაიდგას სიბნელეში, რადგანაც მზის სხივები ამუხრუჭებენ დუღილს.

პირველი სტადიის ჩატარებისათვის ჭურჭელს ინახავენ სითბოში 10 დღის განმავლობაში 420-30° ტემპერატურის პირობებში (ამასთან, დღეში 2-3-ჯერ ვაშლის ფაფა საჭიროებს მორევას ხის კოვზით, შემდეგ გადაიტანენ დოლბანდის (მარლის) პარკში და გაწურავენ. მიღებულ წვენს კვლავ გაატარებენ დოლბანდში და ჩაასხამენ განიერ ყელიან ჭურჭელში.

შეიძლება ყოველ ლიტრ წვენს დაემატოს 50-100 გრამი თაფლი ან შაქარი და გულმოდგინედ მოერიოს.

მეორე სტადიის ფერმენტაციისათვის, ჭურჭელს დახ-

ურავენ დოლბანდით, შეფუთავენ და შეინახავენ სითბო  
ში, რათა დუღილის პროცესი გაგრძელდეს.

დუღილი დამთავრებულად ითვლება, როცა სითხე  
დაწყნარდება და დაიწმინდება.

ტექნოლოგიური პროცესის ჩატარებისა და ტემპერ-  
ატურული რეჟიმის დაცვის შესაბამისად ვაშლის ძმარი  
მზად იქნება 40-60 დღის განმავლობაში. შემდეგ იგი  
ჩაისხმება ბოთლებში, დოლბანდში წინასწარი გა-  
ფილტვრით.

ბოთლები მჭიდროდ დაიხუფება საცობით, ჰერმეტუ-  
ლად დაილუქება ცვილით და შეინახება გრილ ადგილზე.

ვაშლის ძმარი სასარგებლოა, როგორც დანამატი  
სალათებზე და სხვა კერძებზე. ის სასიამოვნო არომატი-  
სა და გემოს პროდუქტია, ამასთან აკმაყოფილებს ადამი-  
ანის ორგანიზმის მოთხოვნილებას მუავე დანამატზე. იგი  
წარმოადგენს დიეტურ საკვებს და ამასთანავე თერაპი-  
ულ საშუალებას სხვადასხვა დაავადებების სამკურ-  
ნალოდ.

ამერიკელი ექიმი დ. ჯავრისი გვირჩევს:

ვარიკოზული დაავადების დროს ბოთლში მოთავსებუ-  
ლი ვაშლის ძმარით დავისველოთ ფეხი და ჩავიტაროთ  
მსუბუქი შეზელვა დღეში 2-ჯერ – დილოთ და სალამოთი,  
ძილის წინ.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ შეიმჩნევა ვარიკოზუ-  
ლი გაგანიერების შემცირება. დაზელვასთან ერთად დღე-  
ში 2-ჯერ უნდა დავლიოთ 2 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი  
განზავებული ჭიქა წყალზე.

## ზოგიერთი ცნობა ანგიოლოგიური სამსახურების შესახებ

რაც შეეხება ანგიოლოგიურ სამსახურს, ის ნებისმიერ საავადმყოფოში ფუნქციონირებს. პირადად ჩემთვის ცნობილია რკინიგზის საავადმყოფოს (დილომში, ახალი) ნოდარბოხუას სახელობის კლინიკის ზოგიერთი მომსახურე პერსონალი, რომლებიც მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევიან. ესენია: განყოფილების გამგე მამუკა ბოკუჩავა, აგრეთვე ზურაბ გოდერძიშვილი, ტატიანა ბასილაშვილი და სხვები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოს მიკროქირურგიული და ანგიოლოგიური სამსახურის კურატორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ბატონი ვასილ გორგაძე.

კლინიკა „ანგიოკარდის“ ანგიოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი – ბატონი თემურ გოგოლაძე და ა.შ.

დაბოლოს, არსებობს ვარიკოზული ვენების მკურნალობის ორი გზა. ქირურგიული – თუ პიროვნებას ასაკი და ჯანმრთელობა ხელს უწყობს და კონსერვატიული – ე.ი. მკურნალობა ქირურგიული ჩარევის გარეშე.

ერთი ცნობილი პროფესორი ამბობდა: „მე არ მავიწყდება ყოველ დილით შევახსენო ჩემს ავადმყოფებს, რომ ყოველდღიურად გადადგან არანაკლებ 10 ათასი ნაბიჯი, მაგრამ თუ მათ სიარული არ შეუძლიათ, მაშინ დაწოლილებმა იბობლონ, მაგრამ მაინც აუცილებლად იმოძრაონ, რადგანაც ქვეყანაზე არ არსებობს წამალი, რომელსაც შეუძლია მოძრაობა შეცვალოს, სამაგიეროდ მოძრაობას ძალუს ნებისმიერი წამლის შეცვლა.“

## ნაცილი II

### გვაიცარიული კომპანია „ვივასანი“

აღნიშნული კომპანია აერთიანებს მთელ რიგ მსხვილ შვეიცარიულ ფირმებს, რომლებიც აწარმოებენ სამკურნალო-კოსმეტიკურ საშუალებებს და ბიოლოგიურად აქტიურ დანამატებს მცენარეული წარმოშობის მასალების გამოყენებით.

აღნიშნული ფირმების პროდუქციამ ათეული წლების მანძილზე მსოფლიო ბაზრებზე მოიპოვა ღირსეული აღიარება, როგორც საუკეთესო ნაწარმმა.

ხალხური რეცეპტები, რომელთა საფუძველს წარმოადგენენ ბუნებრივი სამკურნალო საშუალებები, შველოდნენ ადამიანებს ძველად და შველიან ახლაც, როცა ტექნიკური პროგრესის საუკუნეა; ამასთან ბუნებრივი საშუალებები, განსხვავებით სინთეტიკური წამლებისაგან, არ იწვევენ გვერდით მოვლენებს.

ამასთან კომპანია „ვივასანი“ გვიხსნის, რომ მისი წარმოებული ბუნებრივი პროდუქტები არ წარმოადგენენ პირველი რიგის სამკურნალო საშუალებებს დაავადებათა მკურნალობაში, მათ არ ძალუდთ შეცვალონ ჩვეულებრივი სამკურნალო წამლები, მაგრამ წარმოადგენენ ბრწყინვალე დამხმარე საშუალებებს მათი ერთობლივად

## გამოყენების დროს.

აღნიშნული კომპანიის ფირმები მრავალი დასახელების პროდუქციას უშვებენ, რომელიც სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენება. ასე გასინჯეთ „თავიდან ფეხებამდის“ ამჯერად ჩვენ განვიხილოთ ის საშუალებანი, რომლებიც ქვედა კიდურებისათვის არის გათვალისწინებული.

ფეხების მოვლის კომპლექსურ ღონისძიებებში შედის აბაზანები ფეხებისათვის სპეციფიკური საშუალებებით, მასაჟი და ფეხის კანის კვება შესაბამისი საცხებით და გარეგანი ვენების სიმკვრივის გაზრდა სპეციალური საშუალებები და ა.შ.

კომპანია „ვივასანმა“ შეიმუშავა ახალი ხაზი ფეხების მოვლისა, რომლის საფუძველს წარმოადგენს სამკურნალო ბალახების ნაყენი, რომელშიც შედის: ფეხის აბაზანების სპეციალური მარილი, ფეხებზე წასასმელი საცხი და ვენებზე წასასმელი საცხი.

სპეც. მარილიანი აბაზანის მიღება წარმოადგენს არა მარტო შესანიშნავ საშუალებას ფეხების გამოჯანმრთელებისა და შოვლისათვის, არამედ ინვევს საერთო მდგომარეობის გამაუმჯობესებელ საშუალებას. ასეთი აბაზანა ხსნის დაღლილობას, კანის ანთებას და გაღიზიანებას, აუმჯობესებს სისხლის ცირკულაციას, არეგულირებს ოფლის გამოყოფას.

აბაზანის მიღების შემდეგ ტერფის უხეში კანი რბილდება, ადვილად სცილდება კოურები. განსაკუთრებით სასარგებლოა ასეთი აბაზანები მათთვის, ვისაც აწუხებს ფეხების შეშუპება, ვინაიდან სპეც. მარილში შემავალი კომპონენტები ამაგრებენ სისხლძარღვებს და

  
შედეგად შეშუპებას აღარ აქვს ადგილი. ეს ყველაფერი შედეგია სპეც. მარილში შემავალი სამკურნალო გამონაწურის მოქმედებისა. ამრიგად, სპეც. მარილის აბაზანებს გააჩნიათ დეზინფექციური და სამკურნალო თვისებები.

გამოყენება: 1,5 დოზირებული ჭიქა სპეც. მარილი იხ-სნება 3-5 ლიტრ თბილ წყალში. ფეხის აბაზანები უნდა მივიღოთ კვირაში 3-ჯერ 10-15 წუთის განმავლობაში. აბაზანის მიღების შემდეგ ფეხები გულმოდგინედ უნდა გავიმშრალოთ და წავისვათ ბალახებიდან გამონაწური ფეხების საცხი.

ვისაც ვენების ვარიკოზული გაგანიერება ანუხებს, სასურველია თუ გამოიყენებს ვენებზე წასასმელსაც.

1. წითელი ყურძნის ვაზის ფოთლებიდან გამონაწურს
- ან 2. ცხენის წაბლის ნაყოფიდან გამონაწურს.

გამოყენება: საცხი~~წ~~ნდა წავისვათ თხელი ფენით ქვევ-იდან ზევით მოძრაობით 3-ჯერ დღეში 6-8 კვირის გან-მავლობაში.

კომპანია „ვივასანის“ ოფისი მდებარეობს ქ. თბილის-ში, დ. აღმაშენებლის 59-ში (მიხაილოვის საავადმყოფოს მოპირდაპირე მხარეს). ტელ. 95-47-59.

## ნაწილი III

### ხილ-გოსტიულით მკურნალობა

მცენარეული პროდუქტები, გარდა იმისა, რომ შეიცავენ ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელ საჭირო საარსებო ნივთიერებებს: ცილებს, ცხიმებს, ნახშირნ-ყლებს, მიკროელემენტებს, ვიტამინებს და სხვა სასარგებლო კომპონენტებს, მრავალი სამკურნალო თვისების მქონენიც არიან. ეს დადასტურებულია პრაქტიკული დაკვირვების საფუძველზე, რომელიც მოპოვებულია საუკუნეების მანძილზე მრავალი ქვეყნის ხალხური და თანამედროვე მედიცინის წყალობით, თანამედროვე მედიცინის კლინიკური და ექსპერიმენტული გამოკვლევებით.

მცენარეული პროდუქტები სამკურნალო თვისებების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა.

| ჯგუფი – უპირატესად ამშვიდებს ნერვულ სისტემას.

ალუბლის ნაყოფი და წვენი დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. მისი ფოთლის ნახარშს კი ნაწლავთა ინფექციის სამკურნალოდ (რადგან მას აქვს ჭრილობაშემახორცებელი და ანტისეპტიკური თვისებე-

## ბი) იყენებენ.

უგრეხელი – მრავალი დაავადების მშველელია, მაგრამ მთავარი მაინც ნერვული სისტემის დამამშვიდებელი თვისებაა. ამასთან აუმჯობესებს გულის მუშაობას, აიშვიათებს რითმს, ხელს უწყობს თირკმლის კენჭის დაშლას და „ქვიშის“ დადნობას.

ფეტვს ხალხურ მედიცინაში ყურის ტკივილის დასამშვიდებლად იყენებენ. მას ძილის მოგვრაც შეუძლია.

ქერსაც ანალოგიური თვისებები აქვს – ნერვული სისტემის დამამშვიდებელი და ძილმომგვრელი; გამოიყენება კუჭის ანთებითი პროცესების დასაცხრობადაც.

შვრია – ამ ხორბლეულში დიდი რაოდენობით არის ვიტამინი  $B_1$ , რომელიც ნერვული სისტემის დამამშვიდებელია.

ნიგოზი – კალორიულია და ამშვიდებს ნერვულ სისტემასაც. მისი მწვანე ფოთლები კი, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ ეთეროვან ზეთებს, აყუჩებენ თავის ტკივილს. ნაყოფის ნაჭუჭს და ფოთლებსაც აქვთ შემბოჭავ-შემკვრელი თვისება.

ძახველი (უზანი) ტყის კენკროვანი მცენარეა, რომლის ნაყოფს და ქერქს აქვს სპაზმოლიტური და დამამშვიდებელი თვისება. იგი სასარგებლოა გულის იშემიური დაავადებისას; ძალუძს სპაზმური მოვლენების მოხსნა; კარ-

## გია ბრონქიალური ასთმის დროს.

წაბლის ნაყოფი დამამშვიდებელი გახლავთ. იგი რეკო-  
მენდირებულია ძილის დროს შარდის შეუკავებლობისას,  
დამამშვიდებელია აგრეთვე ძირნითელა, შავბალახა, კა-  
ტაბალახა (ვალერიანის), ბერულა და ვნების ბალახი ანუ  
პასიფლორა.

**II ჯგუფში თავმოყრილია მცენარეები, რომლებიც გუ-  
ლის მუშაობას აუმჯობესებენ:**

ვარდკაჭაჭა - ფესვებისაგან ამზადებენ ნაყენს,  
რომელიც საგრძნობლად აუმჯობესებს გულის  
მუშაობას, ზრდის მის წუთმოცულობას, არეგულირებს  
რითმს, აძლიერებს კუნთის ძალას. ამიტომ იგი გულის  
კუნთის ენერგოხარჯვის მხრივ მეტი ეკონომიურობით  
გამოირჩევა. აქვს აგრეთვე ანტიმიკრობული თვისება,  
რაც რევმოკარდიტების დროს არის სასარგებლო.

ვაშლი შეიცავს გულის მუშაობისთვის სასარგებლო  
მრავალ ნივთიერებას. განსაკუთრებით კარგია გული-  
სათვის უზმოზე. ვაშლი ითვლება საუკეთესო დიეტურ  
საკვებად გულის ინფარქტისა და ათეროსკლეროზის  
დროს.

ეკალა ველურად მოზარდი მცენარეა. მისი ახალი  
ყლორტებისაგან მხალს ამზადებენ. მასში არის გულის  
ტონუსის მოსამატებელი მიკროელემენტები და ნივ-  
თიერებანი. ურჩევენ დედებს ბავშვებისთვისაც რაქიტის

ჩაის ფოთლის სამკურნალო და მატონიზირებელი თვისებები მთელ მსოფლიოშია ცნობილი. მის „კომპლი-მენტებს“ აქ აღარ შევუდგებით (ძველი ტოტებისაგან კი მრავალ საგულე პრეპარატს ამზადებენ).

მარწყვს კარგი საგულე თვისება აქვს, არის შარლმდე-ნი. მარწყვის ანტიმიკრობულ და ანტიჰელმინთურ თვისე-ბებს უნდა დაემატოს ანტიპარაზიტული და კარგი საგულე თვისებაც.

III ჯგუფში გაერთიანებულია მცენარეები, რომლებ-საც აქვთ ფილტვების გამწმენდი და ამოსახველებელი თვისებები:

ვარდის ფურცლები უფრო მეტად იხმარება ნახარშის სახით. მისგან ამზადებენ სასიამოვნო სიროფს და წვენებს, იგი წმენდს ფილტვებს, ნალველმდენია და ანტი-მიკრობული. ამას უნდა დაემატოს გულის მუშაობის გა-საუმჯობესებელი თვისებაც, ე.ი. ვარდი გარეგნობითაც საუცხოოა და სამკურნალოდაც.

თუთას შეუძლია გაასუფთაოს სასუნთქი გზები მიკ-რობული ფლორისა და ანთებითი პროცესებისაგან. ამასთან, მას აქვს ანტიპარაზიტული და ანტიჰელმინ-თური თვისებები.

უნაბის ნაყოფს და მის ფოთლებს აქვთ სპაზმოლი-  
ტური თვისება. ეს სასარგებლოა ბრონქიალური ასთმის-  
ათვის. კარგად მოქმედებს თავის ტკივილისა და იშემი-  
ური მოვლენების დროს.

ფშატი უნაბს გარეგნულადაც ჰეგავს და მოქმედები-  
თაც, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი და ანტიცინგო-  
ზურია; იგი ასუფთავებს სასუნთქ გზებს ანთებითი კო-  
მპონენტებისაგან.

შინდის წვენი ხალხურ მედიცინაში გამოიყენება თვალ-  
ში ჩასაწვეთებლად, კონიუნქტივიტების სამკურნალოდ.  
ეფექტურია ტუბერკულოზის დროს.

ქლიავი, განსაკუთრებით კი – შავი, ცნობილია თავისი  
ანტიმიკრობული თვისებებით. იგი სპობს ნაწლავთა ლპო-  
ბით მიკრობებს და სალმონელების შტამებს.

დაფნა კარგი შარდმდენი და ტკივილგამაყუჩებელია.  
ამშვიდებს ნერვებს, ტკივილს. მის ნახარშს იყენებენ ყელ-  
ში გამოსავლებად.

კომში ცნობილია როგორც შარდმდენი. მისი წვენი და  
კომპონტი სასარგებლოა ჰიპერტონიით დაავადებულ-  
თათვის.

ავშანი თავისი ანტიმიკრობული, ანტირევმატიული,  
შარდმდენი და სხვა სამკურნალო თვისებებით არის ცნო-  
ბილი. აძლიერებს იმუნურ მდგრადობას.

ატამს ძველად ურჩევდნენ სიყვითლის სამკურნალოდ, ხოლო მისი ჩირი განთქმულია ვიტამინების შემცველობით. მისი გულისაგან ამზადებენ სამედიცინო ზეთს.

თხილის ნაყოფიც გამოიყენება და ფოთოლიც სამკურნალოა, ფოთლების ნახარშს აქვს ანტიმიკრობული თვისება – მას იყენებენ ყელში გამოსავლებად.

მაყვალი ანტიმიკრობულია. მას ოფლის მომგვრელად ხმარობენ. იგი ათეთრებს კბილებს, ნალექებისაგან ასუფთავებს მინანქარს. მას ამ მიზნით პიტნასთან ერთად იყენებენ.

მოცვი გამოიყენება ანთებითი პროცესების სამკურნალოდ, როგორც კარგი ოფლის მომგვრელი, მაგრამ მას აქვს აგრეთვე ანტიმიკრობული თვისება. მასში დიდი რაოდენობით არის იმუნური მდგრადობის გამაძლიერებელი ბიოაქტიური ნივთიერებები.

სიმინდის ფოჩის შარდმდენი თვისებები ცნობილი ყოფილა უძველეს დროს, ჯერ კიდევ მაიას ტომებისთვისაც. მას ახლაც წარმატებით იყენებენ, როგორც დამხმარე საშუალებას.

**სატაცური თირკმლის დაავადების სამკურნალოა.**

ხენდროს აქვს როგორც შარდმდენი, ისე კენჭების დამშლელი თვისება.

## კუჭის სამკურნალოდ რეკომენდებული პროდუქტები:

ბარდა კარგ შედეგს იძლევა გასტრიტების დროს. იგი კარგად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. მას სპეციალურად უნიშნავენ ყმანვილებს შარდის შეუკავებლობის სამკურნალოდ.

თუთუბოს აქვს შემბოჭველი თვისება და შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ანთებითი პროცესების საწინააღმდეგო საშუალება გასტრიტების დროს.

ოსპი – გამოიყენება კუჭის კატარალური პროცესების დროს. მისი გამონახარში კარგია ნუშისებრი ჯირკვლების სამკურნალოდ.

კარტოფილი – სასარგებლო პროდუქტია, ენერგიის ხარჯვის აღსადგენად, როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომის დროს. მასში არსებული სახამებლის დიდი რაოდენობა კალორაული შემვსებია, კარგად მოქმედებს ლორნოვან გარსზე, იცავს მას მიკრობული და ქიმიური ტოქსინებისა და სიმუავეებისაგან, ხელს უწყობს ლვიძლის მუშაობის გაუმჯობესებას.

ბადრიჯანი – საკვებად უმი არ გამოიყენება, რადგან მასში არის ორგანული ნარმოშობის კურარეს სახის შხამი, რომელიც მხოლოდ თერმული დამუშავების შემდეგ იშლება. ამიტომ პადრიჯანი აუცილებლად შემწვარ-მოხარშული გამოიყენება საკვებად. მისი უმაღ მიღება იწვევს დამბლას, ადუნებს ორგანიზმს (თუმცა მცირე რაოდენო-

ბით იგი იხმარება ნერვული აგზნების შესამცირებლად),  
ასეთივე მიზნით იყენებენ მას გომეოპათები. მინიმალური  
დოზით ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ეპილეფსიის  
პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

**პრასი** – სამკურნალოა, ამშვიდებს ნერვულ სისტემას,  
აუმჯობესებს მეხსიერებას. იხმარება კბილების სამკურ-  
ნალოდ და გასათეთრებლად.

**ცერცვი** – სამკურნალოა, შეუძლია ნერვული სისტე-  
მის დამშვიდება.

**ზაფრანა** – ძირითადად დამამშვიდებელი და ტკივილ-  
გამაყუჩებელია, ამასთან აქვს შარდმდენი თვისება, აუმ-  
ჯობესებს გულის მუშაობას.

**ჭარხალი** – აუმჯობესებს გულის მუშაობას, შარდმდე-  
ნია და ხელს უწყობს ჰიპერტონიული დაავადებების  
პროფილაქტიკას. მას მღამე გემო აქვს, მაგრამ მარილს  
არ შეიცავს, ამიტომ უმარილო დიეტისას ინიშნება.

**ბოლოკი** – წვენი და ხახვი ძველთაგანვე ცნობილია  
თავისი ფიტონციდური და ამოსახველებელი თვისებე-  
ბით. აქვს ტკივილგამაყუჩებელი თვისებაც, რაც მწვავე  
ხველების დროს შეღავათს იძლევა.

**ნესვი** – ანტიმიკრობულია. მისი თესლი კი გამოიყენე-  
ბა ანტიჰელმინთური მიზნით. მისი ქერქი ხელს უწყობს  
საჭმლის მონელებას.

**ნიორი** – მისი პოპულარობა საყოველთაოდ ცნობილია. მასში დიდი რაოდენობითაა ანტიმიკრობული ფიტონიციდები. გამოიყენება არტერიოსკლეროზის, კოლიტების, ამებური დიზენტერიის, აგრეთვე გარეგან სახმარად – მიკროფლორის და პარაზიტების საწინააღმდეგოდ. მისგან მზადდება ანტიმიკრობული პრეპარატები.

**სტაფილო** – შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინებს. მასში არის სპეციფიკური ანტიტოქსიკური ნივთიერებებიც. მას იყენებენ ქვენარმავალთა ნაკბენზე დასადებად. აგრეთვე პიტნის შხამებით მონამვლის გასანეიტრალებლად და ა.შ.

**ქინძი** – მწვანე მასას და ნვენს აქვს ანტიმიკრობული თვისება, მაგრამ მისი დიდი რაოდენობით საკვებად მიღება არ არის რეკომენდებული, რადგან შეიძლება გამოიწვიოს ტვინის იშემიური მოვლენები და დეპრესია. მისი მაღამო გამოიყენება წითელი ქარის სამკურნალოდ.

**ქონდარი** – ცნობილია ანტიმიკრობული თვისებებით. იგი შემკვრელი და შარდმდენია.

**ოხრახუშს** აქვს როგორც შარდმდენი, ისე ანტიმიკრობული თვისება. მას იყენებენ გარეგან სახმარად, კანის პიგმენტაციის, ჭორფლისაგან გასაწმენდად.

**პიტნა** – აქვს მრავალი სასარგებლო თვისება. მათ შორის შარდმდენიც, მაგრამ მისი დიდი რაოდენობით მიღება არ არის რეკომენდებული. პიტნით ინტოქსიკი-

ის დროს საჭიროა გახეხილი სტატილოს მიღება, რომელ-  
იც ანეიტრალური პიტნის შეამს.



საზამთრო – ცნობილია როგორც შარდმდენი, გან-  
საკუთრებით შეუძლია დაშალოს შარდის კენჭები. ამ  
დროს ჩვეულებრივ უფრო სწრაფად იშლება ფოსტატური  
წარმოშობის კენჭები. იგი სასარგებლოა აგრეთვე პოდაგ-  
რით (ნიკრისის ქარით) დაავადებულთა დიეტური მკურ-  
ნალობისათვის.